

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №38, 08-12.04.2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები

ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, ამ კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საფუძველზე.“.

2. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა

რესპუბლიკური ბიუჯეტი ქვეყნის ერთანი საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია, უზრუნველყოფილია ერთანი სამართლებრივი ბაზით, ერთანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ანგარიშგების ერთანი საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საბიუჯეტო პროცესის დადგენილი პრინციპებითა და ფულადი სისტემის ერთანობით, ერთანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით და მიმართულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის.“.

3. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს:

4. 26¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26¹. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული
დაფინანსების წესი

1. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს, არა უგვიანეს საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი

$\sin \theta = \frac{h}{l}$

S. Morgan

მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

2. რესპუბლიკურ ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით.“.

5. 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორმელიმე წევრი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებს.“.

6. 32-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი – მთავრობის თავმჯდომარის თანხმობით ან მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიჟვაძე

ჩაქვი,
2018 წლის
№31-უ.ს.რ.ს.

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შეიცავს ჩანაწერებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტთან, ხოლო რიგი საკითხებისა ეწინააღმდეგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რის გამოც კანონი საჭიროებს ცვლილებებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

წარმოდგენილი კანონპროექტით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შესაბამისობაში მოვა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ახალ პროექტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან.

ა.გ) კანონპროექტის არსი;

კანონპროექტის შესაბამისად:

- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 და მე-6 მუხლებიდან, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის მიერ 2017 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა ახალი კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ ამოღებული იქნება სიტყვა „სტატუსი“;

- კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ეხება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას ამოღებული იქნება და გადავა 26² მუხლში, რომელიც დათმობილი აქვს უმაღლესი საბჭოს დაფინანსების განსაკუთრებულ წესს და ჩამოყალიბდება რეგლამენტის პროექტში გათვალისწინებული შესაბამისი რედაქციით;

- 29-ე და 32-ე მუხლებში შესატანი ცვლილებები ყალიბდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციისა და უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტის პროექტის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები; კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ნინო ჩხეტია.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია, მერაბ კარანაძე, ირაკლი ჭეიშვილი, დავით ბაციკაძე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 3. ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები (14.05.2015 N127-უ.ს.რ.ს.)

ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, ამ კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მუხლი 6. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა

რესპუბლიკური ბიუჯეტი ქვეყნის ერთიანი საბიუჯეტო სისტემის შემადგე-ნელი ნაწილია, უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ანგარიშების ერთიანი საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საბიუჯეტო პროცესის დადგენილი პრინციპებითა და ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით და მიმართულია საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის.

მუხლი 26. საბიუჯეტო განაცხადის განხილვა და ავტონომიური

რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

2. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭო, არაუგვიანეს 1 ივნისისა. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად. (24.12.2015 N147-უ.ს.რ.ს. ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)

3. მხარჯავ დაწესებულებებსა და ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის შეუთანხმებელ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

4. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა.

5. ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში თანამშრომლობენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესაბამის დარგობრივ კომისიებთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენენ თავიანთ მოსაზრებებს.

მუხლი 26¹. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული დაფინანსების წესი (14.05.2015 N128-უ.ს.რ.ს.)

1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

2. რესპუბლიკურ ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით.

მუხლი 29. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და მიღება

1. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტსა და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარადგენს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რომელიმე წევრი შესაბამისი სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ასევე ისმენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებს. (13.07.2012 №172-უ.ს.რ.ს.)

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევებში არა უგვიანეს 1 მარტისა) ამტკიცებს დასაგეგმი წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს. (27.02.2013 N 35-უ.ს.რ.ს.)

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი და მისი დანართები ქვეყნდება დადგენილი წესით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4. ბიუჯეტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს.

5. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ ამ კანონის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას. (27.02.2013 N 35-უ.ს.რ.ს.)

მუხლი 32. სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საბიუჯეტო პარამეტრებთან
(14.05.2015 N127-უ.ს.რ.ს.)

1. სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან/და ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის შემდეგ. მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო პარამეტრებს, ხოლო თუ იგი იწვევს მომავალი წლების საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილებას, ის შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ზრდის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, წლის განმავლობაში კომპენსირებული უნდა იქნეს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.